№ 261

1877—1899

№ 261

პარასკევი, 3 დეკემბერი, 1899 წ.

# ივერია

პარასკევი, 3 დეკემბერი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**კნეინა მაგდან დავითის ასული, თავ. ივანე, კონსტანტინე, დავით და ალექსანდრე გიორგის ძენი ციციშვილები, რახიელ გიორგის ასული წერეთლისა და ეკატერინე დავითის ასული კნეინა ციციშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას, მეორენი—მამისა და უკანასკნელი—მამამთილისას

**თ. გიორგი ნიკოლოზის ძის ციციშვილისა.**

გარდაცვალებულის გვამს დაჰკრძალავენ შაბათს, 4 დეკემბერს, დილის 10 საათზედ, სოფ. ყინცვისში. (1—195—1)

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
**სალომე ი. კერესელიძე**
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—23)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა
**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობსით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაწაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუდა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანტოვის მაღაზის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

**ექიმი**
**კ. ს. გძელიშვილი**
მიიღებს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით**
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—51)

**საჭიროა**
ქართულის წერა-კითხვის მცოდნე უმაწვილი წიგნების გასასყიდად ქ. ტფილისში. მიჰმართეთ ივანე როსტომაშვილს, დავითის მოედანზე, № 6. (10—6.—3)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: ტიტულიარნი სოვეტნიკობა კოლეჟსკი სეკრეტარს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ბუჰგალტერის თანაშემწეს კობიაშვილს; კოლეჟსკი სოვეტნიკობა ნადვორნი სოვეტნიკს ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროს მიწის-მზომელს მახარაძეს; კოლეჟსკი ასესორობა ტიტულიარნი სოვეტნიკს ტფილისის სამოსამართლო პალატის გამჯვნის საქმეთა საკრებულოს საქმის მწარმოებელის თანაშემწეს ქორდანიას; კოლეჟსკი სეკრეტრობა გუბერნსკი სეკრეტარს ტფილისის სამოსამართლო პალატის მიწის-მზომლის უფროსს თანაშემწეს—კლიმიაშვილს.

## ახალი ამბავი

—

⁂ მთავარ-მართებლის კანცელარიამ განმარტა, რომ მთავარ-მართებლის 1-ლ ივლისის საყოველთაო მოწერილობა კავკასიაში სამხედრო სასროლ იარაღთა გაყიდვისა, შენახვისა და ტარების შესახებ შეეხება მხოლოდ აკრძალულ იარაღებს, ე. ი. გაუმჯობესებულ სისტემის სამხედრო იარაღებს, რომელიც ჯარის შესაიარაღებლად იხმარება და არა ვრცელდება სანადირო თოფებსა, არც რევოლვერებსა, არც ეზიურ თოფებსა და დამბაჩებზედაო.

⁂ ქალაქის გამგეობამ ტფილისის სახლის პატრონებზედ საერო გარდასახადის გაწერის შესახებ დაადგინა: 1) გარდასახადის გაწერა მოხდეს თვით გამგეობაში; 2) გაწერის დროს იხელმძღვანელონ ქალაქის ქონებათა ახალის დაფასებით და საბჭოს 1888 წ. 22 ნოემბრის დადგენილებით, და 3) გარდასახადის გასაწერად ქალაქის ნაწილ-ნაწილად დაყოფის შესახებ განსაკუთრებული სჯა-ბაასი იქონიონ.

⁂ ტფილისის ხელოსანთა გამგეობის დარბაზში მოხდა ობოლთა

# ფელეტონი

—

**მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.**

(დასასრული *)

ათონის ძველი ივერიის მონასტერი და ახალი ქართველთა სავანე და მათი ურთიერთა შორისი დამოკიდებულება.

სოხუმშია ორი ათასამდე ქართველთა ტომის ერი, რომელთაც სამშობლო ენა ქართული აქვთ. მრავალთა შემომჩივლეს, რომ მოკლებულნი არიან ისეთს სულიერს ნუგეშსა და საზრდოს, როგორიც არის მოსმენა სამშობლო ენაზედ წირვა-ლოცვისა, რომელსაც დამტკბობელი, განმაცხოველებელი და მაცხოვარებითი ძალა აქვს მორწმუნე კაცის გულზედ. ნუ დავივიწყებთ პავლე მოციქულის სიტყვათა კორინთელთა ეპისტოლედგან: „უმჯობეს არს ეკკლესიაში წარმოვსთქვა ხუთი სიტყვა სამშობლო ენაზედ, ვიდრე ბევრნი სიტყვანი (ათი ათასი) უცხო ენაზედ". გვახსოვდეს აგრეთვე სხვა სიტყვები ამავე მოციქულისა მრავალთა ერთა: „ყოველთა ვექმენ ყოვლად, რათა ყოველნი ვაცხოვნნე". (1 კორ. 9, 23). ძალიან ძლვილიც არის დაკმაყოფილება ამ საღმრთო მოთხოვნილებისა. აქაურს საკათედრო ტაძარში ჰმსახურებენ რამდენიმენი ქართველნი სამღვდელონი, ნუ თუ იმათ არ შეუძლიანთ გამოსთხოვონ ნებართვა მწყემსთავარსა ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვისა? იერუსალიმის და სრულიად პალესტინის ეკკლესიებში მიღებულია საღმრთო წესად წაკითხვა სახარებისა ყოველს დღიურს წირვაზედაც კი, როდესაც ჰხედავენ სხვა და სხვა ეროვნების მლოცველთა. მთელს საქრისტიანოში მიღებულია ეკკლესიურის კანონით ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზედ სხვა-და-სხვა ენაზედ წაკითხვა სახარებისა, და ყოვლად მიუცილებელად—სამშობლო ენაზედ. და აი უბედურება! ამ ნუგეშსა და დღიურს სიხარულს მოკლებულ არიან აქაური ქართველები, ამაზედ მომეტებული უბედურება სულიერი განაღა იქმნება, რომ კაცმა ქრისტეს აღდგომის დღეს ვერ გაიგონოს სამშობლო ენაზედ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით", მაშინ როდესაც სულიერნი მწყემსნი თვისის ეროვნებისა თვალ წინ უდგანან.

ყოველს სულიერს მწყემსს უნდა მტკიცედ ახსოვდეს, რომ მას მოელის პასუხის გება სიკვდილის შემდეგ, როდესაც წარსდგება წინაშე ქრისტე მეუფისა და მოახსენებს: „აჰა უფალო, მე და ცხოვარნი ჩემნი, რომელნი მომცენ მე, ვმწყსიდი მათ და არცა ერთი მათგანი არ წარვწყმიდე". ნეტარ იქმნება ის მწყემსი, რომელსაც ექმნება კადნიერება ამის წარმოთქმისა, ცხოვართა უნდა ესმოდეს ხმა მწყემსისა და ვიდოდენ შემდგომად მისა, და მწყემსთა უნდა უწყოდენ სახელები ცხოვართა თვისთა და მოუწოდებდნენ. როდესაც სამწყსოს არ ესმის ხმა მწყემსისა ეკკლესიაში, ანუ გარეშე მისა, მაშინ მათ შორის არ არსებობს არა ვითარი კავშირი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი. მწყემსმან კეთილმან დასდვის თავი თვისი ცხოვართათვის. აი ნამდვილი მწყემსი—იდეალი, ვითარცა გამოიხატების სახარებაში: „ხოლო უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის". (იოან. 15, 13). რომელთა ახსენ ყურნი სმენად, ისმინენ!

ბ-ნმა ვარდროპმა, რომელიც ჩვენთან ერთს ცეცხლის გემზედ მოგზაურობდა ოდესსიდამ კერჩამდის და გამიცნო პირადად, მითხრა, რომ ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოება დაჰბეჭდავს ათონის ქართულს დაბადებას თავისის საფასით, ვითარცა შესანიშნავს არქეოლოგის მხრივ, თუმცა იგი არ არის სრული ბერძნების დაუდევნელობითაო. ამისათვის ჩვენნი ქართველთა სასულიერო წოდების წარმომადგენელნი მოვალენი არიან ეცადნენ აღძრან ეს კითხვა და შუამდგომლობა წინაშე მთავრობისა ათონიდგან ქართულის დაბადების მოტანისათვის. ამასთანავე სთხოვონ ბრიტანიის საბიბლიო საზოგადოებას, დაჰბეჭდოს ქართული დაბადება იმ ასო-მთავრულით, რომლითაც იგი არის დაწერილი. ეს მაინც არ დაიკარგოს, ვიდრემდის უძველესი ამისა ვარიანტი დაბადებისა აღმოჩნდებოდეს, თორემ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ დაბადებასაც ის დღე დაადგეს, ვითარცა ექვსს ჯორის საპალნე ქართულს წიგნებს, მოპარულთა, ანუ, უკეთ ვთქვათ, ქურდულად გაყიდულთა. უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიან. ეს შემთხვევა თვით ბერძენთა მონაზონთა აღიარეს, ივერიის მონასტრის ძმათა; მათ შორის ერთი სიღნაღში ნამსახურია, აწ პროიღუმენი დანიელ, რომელიც ქართულს კარგად ჰლაპარაკობს და ამანვე წარმოსთქვა ეს მკრეხელობა ქართული წიგნთ-საცავისა. ამის მომსმენნი სამნი ქართველნიც ვიყავით, მე ამისი დამწერი, მეორე—მოხუცი მღვდელი მ. ალექსი ბაქრაძე და მესამეც მონაზონი გაბრიელ (აბაშიძე).

5 ივლისს, ორშაბათ დღეს, მოვიდნენ ათონის რუსთა პანტელეიმონის მონასტერში ორი ინგლისელი სტუდენტი, ერთი ოქსფორდის უნივერსიტეტისა, ხოლო მეორე—კემბრიჯისა; ესენი მოსულიყვნენ ათონზედ ძველის წერილების სანახავად. გავიცან ესენი მონასტრის სასტუმროში საღამოს ჩაიზედ, ამათ ველაპარაკებოდით ჩვენ რუსის მონაზონის (თავად ვიაზემსკის) შუამავლობით, რომელიც თავისუფლად ჰლაპარაკობს ფრანგულად. ამ სტუდენტებმა, რომ შეიტყვეს ჩემი ქართველი ეროვნობა, სთქვეს, რომ ათონის წმ. ათანასეს ლავრაში ვნახეთ სახარება ბერძნული

*) იხ. „ივერია" № 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს წევრთა არჩევნები ხელოსანთა შორის. არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ე. მაისურაძე და ჯიოვანი.

*** მოგვყავს მოკლე ცნობები ქ. ტფილისის ახალ ჯარის კაცთა გაწვევის შესახებ. სულ სიების მიხედვით გაწვეული იყო 679 კაცი. შეღავათი ჰქონდა: 1-ლ ხარისხისა—169 კაცს, მეორისა—61-ს და მესამისა —10-ს, სულ—240 კაცს. განათლების მისაღებად დრო მიეცა 35 კაცს. 643 გაწვეულთა შორის იყო: ქრისტიანი—593 კაცი, ებრაელი—21, მაჰმადიანი—8 და მალაკანი—21. სამხედრო სამსახურში მისაღები იყო 196 კაცი, რომელთა რიცხვში მიღებულ იქმნა 180 კაცი და ჯერ კიდევ აკლია 16 კაცი, უკვე მიღებულ 180 ჯარის კაცს შორის ქრისტიანია—144, ებრაელი—8, მაჰმადიანი—2 და მალაკანი 12. არ გამოცხადდა კენჭის ამოსაღებად 140 კაცი, მათ შორის ზოგი გარდაცვალებული და სიებიდგან გამორიცხულია, აგრეთვე არ გამოცხადებულა 2 ებრაელი, რომელთა ოჯახები კანონის ძალით, 300 მანეთით უნდა იქმნან დაჯარიმებულნი.

*** გორის მაზრიდგან ატყობინებენ საგუბერნიო მმართველობას, რომ ოსების სოფლებში საშინლად მოდებულია საქონლის ჭირიო.

*** გორის მაზრის ბეითალები თხოულობენ შუამდგომლობა აღძრას საგუბერნიო მმართველობამ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს წინაშე, რომ ზოგიერთ ადგილას, სადაც ორმოების გათხრა შეუძლებელია დახოცილი საქონლის მძოვრის დასამარხავად, ნება მიეცეთ სახელმწიფო ტყეებიდგან შეშის გამოტანისა მძოვრების დასაწვავად.

*** 28 ნოემბერს პოლიციამ მე-5 ნაწილში შეიპყრო ბერის ტანისამოსში გამოწყობილი კაცი, რომელმაც განაცხადა მე ბერი ვარ და ზოსიმე მქვიანო, ხოლო ერის კაცობაში-კი დუშეთის მაზრის სოფ. ქვაელის გლეხი ზაქარია წიხელაშვილი ვიყავიო. შეპყრობილს ამ რამდენიმე დღის წინად ზედა-ძენის მონასტერში ცხოვრების დროს ეკკლესია გაუქურდნია და გამოპარულა. მას უნახეს 60 მან., წიგნაკი და სხ.

*** წრეულს დასავლეთ საქართველოში მასწავლებლებს სადირექციო სკოლებისას „Русское Слово" შეაქვთ რუსულის ენის სახელმძღვანელოდ, რადგანაც ცნობილმა „Курсъ"-მა თურმე ილაჯი გაუწყვიტა მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც. ამავე „Русское Слово"-მ წრეულს გზა გაიკვლია განჯის გუბერნიაშიაც სომხების სკოლაში. ჩრდილო კავკასიაშიაც ეხსნება გზა ამ ჩვენებურს სახელმძღვანელოს. აი ამისი საბუთიც. 15 ნოემბერს დირექტორს გრუშევსკის უნახავს ქართული სკოლა, სადაც რუსული ენა ისწავლება „Русское Слово"-ს საშუალებით, და თან წაუღია ორივე ნაწილი ამ სახელმძღვანელოსი. გადაკითხვის შემდეგ მიუწერია შემდეგი თავისი აზრი კავკავის სკოლის უფროსი მასწავლებლისათვის: „Русское Слово" я признаю учебникомъ методично, правильно и вполнѣ цѣлесообразно составленнымъ и вмѣняю себѣ въ долгъ рекомендовать его въ качествѣ первой учебной книги въ инородческія училища ввѣренной мнѣ дирекціи". ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ დირექტორი გრუშევსკი ფრიად გამოცდილი პედაგოგია და თითონაც რამდენიმე სახელმძღვანელო შეუდგენია.

*** გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მოხსენებისამებრ ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადასდოს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების-მიერ არჩეულ კომისიისათვის 200 მან. ავჭალის წყლის მილების გამოსაკვლევად და სთხოვოს სამკურნალო საზოგადოების თავმჯდომარეს, რომ ასეთივე გამოკვლევა მოახდინოს კომისიამ ნატახტარის წყაროებისა.

*** ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ დაადგინა მიიღოს საეკლესიო მუზეუმის ნივთები თავისს საკუთრებად და შეიძინოს მისი დღევანდელი სადგომი, რისთვისაც გარდაიხადოს 6,000 მან., ხოლო ამ სადგომის სივიწროვის გამო ააგოს ახალი შენობა ხსენებულ მუზეუმის მოსათავსებლად ვერის სასაფლაოზედ, და ამ საქმისთვის ათას-ათასი მან. გადასდოს წინ და წინ ყოველ წლივ, ვიდრე საჭირო თანხა შესდგებოდეს.

*** „მთავრობის უწყ."-ის სიტყვით, ფოთის ნავთსადგურში დაიწყება მუშაობა ზღვის ნაპირის გასამაგრებლად იმ ადგილას, სადაც ნაპირი წყლისაგან ილეკება; ამასთან შეუდგებიან საგუშაგოს კეთებას იმ ადგილას, სადაც მდ. რიონი ორ ტოტად იყოფა.

*** ცნობილი მდიდარი ა. ი. მანთაშევი, როგორც ისმის, კუჩენბახის ყველის წარმოების ქარხანას იძენს ბორჩალოს მაზრაში. ბ-ნს მანთაშევს უკვე შეუძენია ბ ნ ფითოევისაგან დიდი მამული, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად თავ. ბარათაშვილებს ეკუთვნოდათ. მამულში ამ ჟამად უკვე შესდგომიან ხე-ტყის გაჩეხვასა და ადგილის გაწმენდას ვითომ ვილაც ხალხის დასასახლებლად, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ. („კავკ.")

*** ქუთაისიდგან „ტფ. ფ."-ს ატყობინებენ, რომ რუსეთ-ბელგიის საზოგადოებას, რომელსაც ტყიბულის ქვანახშირის მადნები ეკუთვნის, ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს საფრანგეთის ერთ ამხანაგობასთან ამ მადნების შესყიდვისა და წარმოების შესახებ.

*** კვირას, 28 ნოემბერს, საღამოს 5 საათზედ. კავკავში შემდეგი უბედურება მომხდარა. კავკავის ველოსიპედის მოყვარეთა საზოგადოების მეიდანის გუბეზედ სრიალის დროს ყინული ჩამტყდარა და მრავალი კაცი, უმთავრესად ბავშვები, წყალში ჩაცვივნულან, ყინულს ქვეშ. აუარებელ ხალხის შეკრებამ და სიბნელემ ხელი შეუშალა წყალში ჩაცვივნულთა შველას. აუწერელი აურ-ზაური და გულის გამგმირი წივილ-კივილი გაისმა. ჯერ-ჯერობით ამოუღიათ წყლიდგან 15 დამრჩვალი. კიდევ ეძებენ. („ყაზ.")

*** ს. ბოსლევი, (შორაპნის მაზრა). რამდენიმე საზოგადოება ზემო იმერეთისა, ესე იგი შორაპნის მაზრისა, უკვე დაიკორლნა და რამდენიმეც ეხლა იკორლნება. სოფელ ბოსლევი კი დარჩენილი იყო. მაგრამ თავად კონსტანტინე აბაშიძის მეცადინეობით წლეულს აქაც გვეწვია გამმიჯნავი კომისია.

*** სოფ. ჩირიკა, (დუშეთის მაზრა). ეს მეორე თვეა, რაც გვესტუმრა რაღაცა საშინელი სენი, რომელმაც ამ ცოტა ხანში იმსხვერპლა ჩვიდმეტ კომლიან სოფელში ათი სული. ეს სენი, როგორც ეტყობა, სისხო უნდა იყოს. ხალხი დიდად დაზარალდა და კიდევ მოელის ზარალს, რადგან ეს სენი არამც თუ კლებულობს, არამედ თან და თან უფრო ვრცელდება. მკურნალი ჩვენთვის არსად არის და არც გულ-შემატკივარი. კარგა ხანია, რაც გაიგო ეს ავადმყოფობა აქაურმა ბოქაულმა ბ-ნმა ფურცელაძემ და მაშინვე აცნობა, ვისაც ჯერ არს, მაგრამ აქამდის ჩვენი კვერი ვერ გამოცხვა. საკვირველია, თუ იმას მოელიან, რომ ძლიერ გავრცელდეს ეს სენი და მაშინ შეუდგებით იმასთან ბრძოლასო, ეს ვერაფერი ფიქრია!

ამ სენის გარდა კიდევ ყელჭირვებაც ესტუმრა აქაურობას, რომელმაც ორ-სამ დღეში მოჰკლა ხუთი სული და ხალხს თავს ზარი დასცა. ეს სენიც საშინლად ვრცელდება. დიდად სასარგებლო იქმნება, რომ მაზრის მკურნალი ამ მთიულ სოფლებს დახედავდეს ორ-სამ თვეში ერთხელ მაინც, რადგან ავადმყოფობა აქ მალ-მალ ჩნდება ხოლმე. აქ ისეთი ხალხია, რომ თავისს დღეში მთავრობას არ აცნობებს, რაც უნდა სენი გავრცელდეს.

*** 1-ლ დეკემბერს ქალაქის გამგეობაში საჯარო ვაჭრობა მოხდა ავლაბრისა და კუკიის სახნავ-სათეს და სანახირო ადგილების იჯარით გასაცემად. უდიდესი ფასი ავლაბრის ადგილებში შეაძლია ავლაბრის საზოგადოების რწმუნებულმა ნუნუფაროვმა —3,420 მან., ხოლო კუკიის ადგილებში-კი—ნონიევმა—1,985 მან.

*** რადგან ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ სოფელში ყვავილი გაჩნდა, ტფილისის სამკურნალო გამგეობამ მიანდო საგუბერნიო მკურნალის თანაშემწეს ბ-ნს მაჰვარიანს გაემგზავროს მცხოვრებთათვის სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად და აცრის შემწეობით სენთან საბრძოლველად.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ბოქაულებს, გაამრავლეთ ღამის დარაჯთა რიცხვიო.

*** ბ-ნი ლასტოჩკინი, რომელიც ფინანსთა მინისტრის-მიერ გამოგზავნილი იყო ტფილისში ხარკის აკრების წეს-რიგის შეცვლის კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, დღეს პეტერბურგში გაემგზავრება.

*** ქალაქის ბაღს აკურთხებენ 7 დეკემბერს. ეს ბაღი იმყოფება ქალაქის საყასბოს მახლობლად. იქ გადაიტანენ საქონლით სავაჭრო მოედანსაც.

*** სურამის ნაწილში საქონლის ჭირის გაჩენის გამო გაგზავნილ იქმნა იქ ბეითალი.

*** რადგან გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობას, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისისა და გორის სასურსათო მაღაზიებისათვის ქერისა და პურის მიწოდება, მეტად უძნელდება ამ პირნახულის გაგზავნა რკინის გზით ვაგონების რიცხვის სიმცირის გამო, რომელთაც ამასთან სწრაფად ირიგებენ ადგილობრივი მრეწველები, ამის გამო ამხანაგობამ სთხოვა კავკასიის უმაღლესს მთავრობას, გაგვიადვილეთ პირნახულის გაგზავნა და განკარგულება მოახდინეთ, რომ რკინის გზამ ვაგონების განსაზღვრული რიცხვი მოგვაწოდოსო.

*** შუშის ვაჭარს დანიელ არუნიანცს უმაღლესად ნება დაერთო დააარსოს აბრეშუმის სახვევ და სართავ იარაღთა სააქციო საზოგადოება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. საქაშეთი,** (გორის მაზრა). ეს სოფელი ერთობ პატარაა, ასე რომ მცხოვრებთა რიცხვი სულ არ აღემატება ორმოც-და-ათს კომლს, ამასთან ღარიბი ხალხია, რადგან სახნავ-სათესი

---

მერვე საუკუნისა, რომლის უკანასკნელი თავი განსხვავდება ეხლანდელ ეკკლესიის-მიერ მიღებულ შინაარსისაგანო. ამაზედ მე მოვახსენე, რომ ძვირფასი იქმნება-მეთქი ღვთისმეტყველების მეცნიერებისათვის შეთანასწორება ქართულს სახარებასთან, რომელიც ეკუთვნის მეშვიდე საუკუნესა და დაცულია აწ ტფილისის სიონის საარქეოლოგიო მუზეუმში. ამავე სტუდენტებმა სთქვეს, რომ ჩვენ გადავიღეთ ფოტოგრაფიით რამდენიმე ფურცელი ძველის ქართულის პერგამენტისა და მნიშვნელობა მისი არ გვესმისო. უთხარი: მე მზა ვარ გემსახუროთ ამ საზოგადო სამეცნიერო საქმეში, ძალისაებრ ჩემისა. აღმითქვეს ჩვენება იმ პალეოგრაფიისა. მეორე დილით ისინი ადრე წასულიყვნენ ბერძენთა გრიგორიანთ მონასტერში ზღვით, ხოლო მე ამ დღესვე, დილის 8 საათზედ, ჯორებით გავემგზავრე ქართველთა სავანეში და, სამწუხაროდ, შემდეგ აღარ შემხვედრიან.

გარდმომცეს, რომ ათონის ბერძენთა წმიდა ათანასეს ლავრაში არის დაცული ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე მე-XI პორფირა, გვირგვინი და სკიპტრა, რომელიც კონსტანტინეპოლიდგან წარმოუგზავნიათ ამ მონასტერში დასაცველად სატახტო ქალაქის თურქთაგან დამორჩილების წინად, და ამ სახედ გადაურჩენიათ ეს სამეფო რეგალიები თურქთა წარტაცებისაგან, რადგანაც თურქნი არ შეჰხებიან ათონის მონასტრებს. უკანასკნელი დედოფალი ბიზანტიისა მარიამ იყო ასული საქართველოს მეფისა. ამ დედოფალს შეუწირავს ათონის მონასტრებისათვის დიდი სახნავი მამულები და მონასტერთათვის საჭირო პური იქ ითესება. ამ დედოფალს, სათნოებითა აღსავსეს, ათონზედ უწოდებენ: „კალი მარიამ", ესე იგი „კეთილი მარიამ".

ათონის მთიდგან თესალონიკის მახლობლად გასავალში არის ქართველთა სოფელი. უკანასკნელ ორ წლამდე აქაურ ეკკლესიის ქვაზედ იყო წარწერა ქართულს ენაზედ, რომ იგი აღშენებულია ქართველ მეფისაგან და ეხლა მოუსპიათ ბერძენთა ეს წარწერა, აქ დასახლებულნი ქართველნიც გადაგვარებულან, ქართული ენაც დავიწყებიათ და ბერძენთაგანაც განირჩევიან ეროვნულის თვისებითა და შეხედულობითა. ამ სოფელს უწოდებენ: „იერისო". ეს ცნობა ათონის ქართველთა სავანის ძმად გარდმომცეს.

4 აგვისტოს, ოთხშაბათს, დილის 8 საათზედ, წარმოვემართენით სოხუმიდგან ჩემის ცნობილის თანამგზავრებით; ვიდრემდის ჩავსხდებოდით ცეცხლის გემში, ზღვა უკვე ჰღელავდა, შუადღისას უფრო ძალიან იმატა ფრთონამ, მოგზაურთა მომეტებული ნაწილი პირქვე დაეცა, ვერც მე გადაურჩი ზღვის სნეულებას; ფოთში ვერ შევიდა გემი და ღამის 10 საათზედ მოვაღწიეთ ბათუმს. იქამდის საგრძნობელი იყო ღელვა, რომ მეორე დღესაც არ შემეძლო სიარული და თავ-ბრუ მეხვეოდა.

ათონის ახალს ქართველთა სავანეს შეუსყიდნია მამული ივერიის მონასტრისაგან 2,000 მანეთად 1867 წელსა. გარდა ამისა, ვითარცა შემოღებულია ათონზედ, ყოველ წლივ უნდა ეძლია ხარკად ივერიის მონასტრისათვის რამდენიმე ლირა ოქრო (თითო ლირა ეთანასწორება რვა მანეთს) და აგერ რვა წელია ქართველთა ძმათა სავანე აღარ იხდის ამ ხარკს, რადგანაც მას აქვს დაწყებული ივერიის მონასტერთან დავა, და ითხოვს იგი, რათამცა დაუბრუნდეს მას ივერიის მონასტერი თვისის მამულებითა, რომლითაც სარგებლობენ აქამომდის ბერძენნი სრულიად უსამართლოდ, ვითარცა მკრეხველნი და არა ვითარცა ნამდვილი პატრონები. თვით ნეტარხსენებულნი ქართველნი მართლმადიდებელნი მეფენი წინასწარ ხედავდნენ კეთილ გონიერებითა და უშიშარ ყოფისათვის მომავალში, როდესაც წყალობის სიგელს ანუ გუჯარს აძლევდნენ რომელიმე შეწირულებისას ივერიის მონასტერს, ასრე მოიხსენებდნენ: ამა წყალობის წერილსა გაძლევთ ანუ გიბოძებთ ჩვენს ქართველთა ათონის ივერიის მონასტერსა, რადგანაც წინასწარვე ჰქონიათ სახეში, რომ დავა არავინ აღძრას ამ ივერიის მონასტრის მფლობელობის გამო უცხო ტომმა ანუ ერმა.

ეს დავა ივერიის მონასტერზედ ქართველთა ძმათაგან პირველი არ არის. ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე მე-XI დროსა კონსტანტინოპოლის თურქთაგან დაპყრობისა რამდენისამე თვის წინად ქართველთა სასარგებლოდ გარდასწყვიტა ბერძენთა კეისარმაც ფლობა ივერიის მონასტრისა და რადგანაც დღე-დღეზედ მოელოდებოდა კონსტანტინოპოლის აღებას მტერთაგან, უკვე გარემოდგომილთა, ამისათვის ისწრაფა კეისარმა და ხომალდით წარგზავნა ინგლისს დროებით დასაცველად სახელმწიფო მნიშვნელობის სიგელნი და მათ შორის ის საბუთის ქაღალდიც, რომლითაც კვალადცა მიანიჭა ქართველთა ძმათ ყოვლის მხრივ უფლებანი ათონის ივერიის მონასტერზედ.

ათონის ივერიის მონასტერში სხვა შესანიშნავთა ძველთა საუნჯეთა შორის, როგორც გადმომცეს, არის საჭურველნი დიდებულის თორნიკე ერისთავისა, ამ მონასტრის დამფუძნებელისა: ჩაფხუტი, ხმალი, ფარი, ჯაჭვის პერანგი, მშვილდი. ესენიც არ მაჩვენეს შეუბრალებელმა ბერძნებმა, თუმცა რამდენჯერმე ვთხოვე. წიგნთსაცავის მეორე ოთახში იყო დამწკრივებული ექვსი ყუთი, დაბეჭდილი რამდენიმე გერბით. ციხის ზევით სართულში სხვა ნივთები აქვთ დაკრძალული, მაგრამ ყოველსავე ამ საუნჯეს არიდებენ ქართველთა და რუსთა თვალს.

დეკანოზი პ. დ. კონჭოშვილი-ილწოებელი

და კვნახები ნაკლებადა აქვთ. ამისდა მიუხედავად თავად გრიგოლ ნიჟარაძის მის დიასამიძის ხანგრძლივის ჩაგონებითა და რჩევით განიზრახეს დაარსება წერა-კითხვის სკოლისა, მაგრამ რით და როგორ?! სკოლას უნდოდა შენობა და მასწავლებელი და უთუოდ ამას საკმაო ფულები. დიდს გაჭირვებაში იყო ბევრი ხალხი. ბევრი იფიქრეს, მაგრამ იმდენის ფულის გაღება არ შეეძლოთ, რამდენიც საჭირო იყო. წელიწადში ხუთი თუმნის მეტის გაღება, ე. ი. კომლზედ მანეთისა, ვერ შესძლეს, ისიც იმ პირობით, თუ თავადნი დიასამიძენი დაუთმობდნენ უსასყიდლოდ შენობის მასალას, ე. ი. ხე-ტყეს. ეს გადაწყვეტილება მოახსენეს თავ. დიასამიძეთ, რომელნიც დიდის სიხარულით მიეგებნენ გლეხების სურვილს და არამც თუ სკოლისათვის ხე-ტყე, არამედ აღუთქვეს ყოველ-წლივ ხუთი თუმანი ფულად. გარდა ფულისა და საჭირო მასალისა დაუთმეს აგრეთვე სახლი, ვიდრე სკოლას ააშენებდნენ, შეშა, რასაც დაისაჭიროებს სკოლა და მასწავლებელი. გარდა ამ უხვის შეწირულობისა, აღუთქვა კიდევ უმცროსმა ძმამ—თავ. მიხეილმა სწავლება უსასყიდლოდ მეაბრეშუმეობისა, მეფუტკრეობისა და მებაღეობისა.

უთუოდ ზემო თქმული მოახსენდა გორის სასულიერო სასწავლებლის საეპარქიო საბჭოს, რომელმაც საქამთელების კეთილი განზრახვა აცნობა ტფილისის საეპარქიო საბჭოს. ამ საბჭომ თავისს მხრივ აღუთქვა სკოლას ასოცი მანეთი და მასწავლებელიც გაგზავნა აგვისტოს 26-ს. 6 სექტემბერს ადგილობრივმა მღვდელმა გარდაიხადა სამადლობელი პარაკლისი, რომლის შემდეგაც წარმოსთქვა გარემოების შესაფერი სიტყვა.

დღეს სკოლაში ოც-და-რვა მოსწავლეა. თავ. დიასამიძეებთან ერთად არა ნაკლების მადლობის ღირსია ადგილობრივი მღვდელიც, რომელსაც ამ საქმის განხორციელებისათვის მცირედი ღვაწლი არ მიუძღვის.

უცხო

## ქართველ-კათოლიკეთა შესახებ

ამ სათაურით გაზეთ „С.-петерб. Вѣдомости“-ში ალ. ხახანაშვილის საყურადღებო წერილია დაბეჭდილი.

ავტორი ამ საგნის გამოსარკვევად ისტორიას მიჰმართავს და ამბობს, რომ საქართველოში ყოველთვის სარწმუნოებრივი თავისუფლება იყო: კათოლიკებს, სომეხ გრიგორიანებს არამც თუ არა სდევნიდნენ, არამედ ქართველი მეფენი განსაკუთრებულ მფარველობასაც უწევდნენ შეძლებისა და გვარად. თავიანთ სარწმუნოებას მართლ-მადიდებელ ქართველებს შორისაც-კი ავრცელებდნენ. კათოლიკეთა მისსიონერები საქართველოში პირველად მე-XIII საუკუნეში შემოვიდნენ. ამ დროს ზემო ქართლი, მესხეთად წოდებული, ოსმალეთს ჩაუვარდა ხელთ და ოსმალეთის სულთანი და არზრუმის ფაშა ბევრსა სცდილობდნენ ზემო და ქვემო ქართლის ერთმანეთისაგან სამუდამოდ დაშორებას, ეს-კი ადვილად შეიძლებოდა სარწმუნოების სხვა და სხვაობის შემწეობით, ამიტომ კათოლიკეთა მისსიონერებს ხელს უწყობდნენ მესხეთში კათოლიკეთა სარწმუნოების გასავრცელებლად. მცხოვრებთ რომის პაპისაგან ნება მიეცათ ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვის მოსმენისა და ამ დღიდგან არსდება ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესია. მალე თვით ოსმალეთმაც მიჰყო ხელი ქართველების გამაჰმადიანებას და ბევრნი მართლ-მადიდებელნი ცეცხლითა და მახვილითა გაამაჰმადიანა კიდეც, მაგრამ ამავე დროს ევროპის სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით ხელი ვერ ახლო ახალციხის და სოფ. უდეს, ვალეს, ხიზაბავრას, არალისა, ბარალეთისა და სხვა სოფლების ქართველ-კათოლიკეებს, რომელთაც იმის გამო მტკიცედ შეინახეს სარწმუნოება. ძალ-მომრეობით გამაჰმადიანებას გადარჩნენ მარტო ისინი, რომელთაც კათოლიკობასა და ძლიერ პაპის მფარველობას შეაფარეს თავი.

მისსიონერები თან და თან ქართლისა, იმერეთისა და სამეგრელოს შუა გულშიაც შევიდნენ და იქაც გაავრცელეს თავიათი სარწმუნოება. ტფილისში ეკკლესიაც-კი ააგეს და ეპისკოპოსიც დანიშნეს. მე-XVIII საუკუნეში მისსიონერებმა დიდი გავლენა მოიპოვეს არამც თუ ხალხში, თვით მეფის სასახლეშიაც. ამ გავლენას ვერ ასცდა განათლებული ბერი ს. ს. ორბელიანი და თვით კათალიკოსს-პატრიარქი ანტონ პირველიც-კი, რომელიც ამის გამო საქართველოდგან რუსეთში იქმნა განდევნილი. ამავე დროს კათოლიკობა მიიღეს სპარსეთში გარდასახლებულმა თავად-აზნაურობამაც: ბარათაშვილებმა, ორბელიანებმა, ერისთავებმა, ჩხეიძეებმა, ჯაყელმა და სხვათა. მისსიონერები სწავლობდნენ ქართულ ენას, არიგებდნენ სახელმძღვანელოებს, სთარგმნიდნენ ლათინურიდგან წიგნებს. რომის ქართულ სტამბაში, რომელიც 1690 წელს იქმნა დაარსებული, ჰბეჭდავდნენ ქართულად ლოცვებს და სხვა წიგნებს. ამ რიგად გავრცელდა ქართველებს შორის კათოლიკეთა სარწმუნოება.

სომეხ-კათოლიკეთა გავლენას ქართველ კათოლიკეზედ პირველ ხანს ხელი იმან შეუწყო, რომ ქართული ახალგაზრდობა სტამბოლსა და ვენეციაში სომეხ-კათოლიკეთა სკოლებში სწავლობდა. შემდეგ ხანებში ქართველი-კათოლიკენი სრულიად სომეხ-კათოლიკეთ დაექვემდებარნენ, რადგანაც სასულიერო საქმეების გამგეობა კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქის ხელში იყო. ამას ხელი შეუწყო ახალციხეში გრ. პასკევიჩის მიერ ოსმალეთიდგან სომხების გადმოსახლებამ.

1829 წლიდგან კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა გავლენა ქართველ-კათოლიკებზედ თანდათან სუსტდება. ამისი მიზეზი ახალციხის ოსმალეთისაგან დაშორება და იქ მცხოვრებთა დანარჩენ ქართველებთან დაახლოვება იყო. ამ დღიდგან ქართველნი კათოლიკენი სომეხ-კათოლიკეებს ჰშორდებიან და რომის—კათოლიკებს უერთდებიან. ქართველებმა ისიც მოითხოვეს, რომ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდებოდეს. ამის გამო სომეხ და ქართველ კათოლიკეთა შორის ბრძოლა ასტყდა, რასაც ბოლო მთავრობის უცნაურმა განკარგულებამ მოუღო. ამ განკარგულების ძალით ყველა ქართველნი კათოლიკენი ეროვნობით სომხებად იქმნენ ცნობილნი და ამიტომ ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვა აღეკრძალათ. აწინდელი მცხოვრებნი ართვინისა სომეხ-კათოლიკეთა და ქართველ-კათოლიკეთაგან შესდგებიან, რომელთა შორის არავითარი მსგავსება და ნათესაობა არ არსებობს.

## ქართული მუსიკა.

ეს დიდებული სახელწოდება „ქართული მუსიკა“ ზოგიერთს, როგორც შემამჩნევია, ეჭვიანს ღიმილსა ჰგვრის და გაკვირვებით შემოგხედავს ხოლმე, ეუცხოება. ან-კი რა გასამტყუნებელია მისი გაკვირვება, თუ კი არ იცის და არც გაუგონია ქართული მუსიკა. თუმცა ქართული მუსიკა მრავალგვარი, რთული და მშვენიერია, მაგრამ ჯერ იმას თავი ვერ უჩენია არა თუ უცხოქვეყნელთა შორის და მათ სამუსიკო საზოგადოებაში, არამედ ჩვენშიაც. მე, თქვენი უმორჩილესი მონა, დიდიხანია, რაც საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებსა ვსწერ და ბევრიც დავწყე ნოტებად ფორტეპიანოს შეწყობით და ქართული ლექსი სიმღერებისა გადავთარგმნე რუსულსა და იტალიანურს ენაზე, მაგრამ დაბეჭდვა ხელ-მოკლეობისა გამო ვერ მოვასწარი. ყველამ ვიცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ მუსიკას წარსულისა და აწმყოს დახასიათებისათვის. ამისათვის დარწმუნებული ვარ, რომ ყველა შეგნებულსა და დარბაისელს ქართველს სასიამოვნოდ დარჩება ამ მრავალ-მნიშვნელოვანის და საშვილიშვილო მუსიკის გაცნობა, გავრცელება როგორც ჩვენში, აგრეთვე უცხო ქვეყნადაც. ამისათვის საჭიროა მისი დაბეჭდვა ქართულს, რუსულს და რომელსამე ევროპიულს ენაზედ და ადვილად შესაძლებელია მომავალის პარიჟის გამოფენაზედაც იჩინოს თავი. როგორც მოგახსენეთ, დაბეჭდვას დაუხმარებლად ვერ შევსძლებ, მაგრამ ნივთიერ დახმარების იმედი-კი მაქვს ყველა იმ ქართველისაგან, რომელსაც ჰსურს თავისის ერის მუსიკა ყველასათვის ხელ-მისაწვდენი შეიქმნას. დამხმარებელს თითო ეგზემპლიარი დაბეჭდილის პიესისა მიერთმევა.

ფილიმონ ქორიძე

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** იმ გარემოებამ, რომ მილიერანმა ვალდეკ-რუსოს კაბინეტის წევრობა იკისრა, იმ თავითვე დიდი განხეთქილება ჩამოაგდო სოციალისტთა დასში. ამ დასის რამდენიმე გუნდი სრულიად განშორებას აპირებდა მილიერანისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელის მახლობელმა მეგობრებმა—ცნობილმა ჟორესმა და ვივიანმა მოითხოვეს, რომ საერთო კონგრესი მოეხდინოთ საფრანგეთის ყველა სოციალისტებისა და რასაც ის დაადგენს, შემდეგ იმ გზას დავადგეთო. ასეთი კონგრესი ამ დღეებში უკვე შესდგა და ამჟამად სჯა-ბაასი აქვს იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა ანუ საზიანო მუშა ხალხის ინტერესებისათვის, მას რომ წარმომადგენლები ჰყავდეს ახლანდელ ბურჟუაზიულ სამინისტროებში. პირველს სხდომაზედ კონგრესის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო მთავრობის მომხრე სოციალისტისა, ე. ი. ამ გუნდისა, რომელიც მილიერანს მხარს უჭერს. ამ უკანასკნელის საქმე მაშინ ყველას წაგებულად მიაჩნდა, მაგრამ ჟორესმა და ვივიანმა მოახერხეს დაარწმუნებინათ კრება, რომ მუშებისათვის უსარგებლო არ იქნება თავიანთი წევრება გვერდით ამოუყენონ ქვეყნის ახლანდელ გამგებლობას. კამათს თეორეტიული ხასიათი ჰქონდა და მილიერანის სახელს არავინ ახსენებდა, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ ლაპარაკი მას შეეხებოდა. კრება ჯერ არ დასურულა და არავინ იცის, საბოლოოდ რას გადასწყვეტს, მაგრამ ბევრნი ეხლავე დარწმუნებული არიან, რომ მილიერანს და ჟორესს, ეგრედ წოდებული, გედისტები მაინც ჩამოშორდებიან და ცალკე დასს შეადგენენ. გედისტების მხრით სხვებზედ უფრო თავგამოდებით ლაპარაკობდა ლაფარგი, რომელიც დაურიდებლად ჰკიცხავდა ჟორესს, თუმცა-კი კრების თავმჯდომარემ რამდენჯერმე სიტყვა გააწყვეტინა ორატორს. ლაფარგის შემდეგ ილაპარაკა ჟორესმა, რომელმაც ორი საგნის გადაწყვეტა სთხოვა კონგრესს: 1) „კონგრესი აღიარებს, რომ რამდენსამე შემთხვევაში სოციალისტთა მონაწილეობა ბურჟუაზიულ მართველობაში საჭიროა; ეს შეეხება ანუ იმ შემთხვევას, როცა პოლიტიკურ თავისუფლებას განსაცდელი მოელის, ანუ იმას, როცა რაიმე შესამჩნევი ცვლილების შემოღება შეიძლება მხოლოდ მუშათა დასის წევრის მონაწილეობის მეოხებით“. მაგრამ, ჟორესს ამასთან ერთად საჭიროდ მიაჩნია, რომ სოციალისტმინისტრმა თავისი მოქმედების ანგარიში წარუდგინოს ხოლმე კონგრესს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მეორე და მესამე სხდომა უფრო სასარგებლო იყო მილიერანისა და ჟორესისათვის, ვიდრე პირველი.

**ავსტრია.** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ნემეცებისა და ჩეხების ერთმანეთ შორის მოსარიგებლად კონფერენციის გამართვას აპირებს მინისტრ-პრეზიდენტი კლარი. ასეთი კონფერენცია მართლაც შესდგა, მაგრამ ვერავითარი ნაყოფი-კი ვერ მოიტანა. ნემეცებმა უარ-ჰყვეს ჩეხების ყველა წინადადება, და ჩეხებმაც თავისის მხრივ ნემეცების არც ერთი წინადადება არ შეიწყნარეს. კონფერენციის თავმჯდომარემ—ივანოვსკიმ, დაითხოვა-რა კრება, სურვილი განაცხადა, რომ შემდეგში მაინც მოურიგდნენ ერთმანეთს ნემეცები და ჩეხები. პოლიაკები და კათოლიკები არწმუნებდნენ ჩეხებს, რომ სამჯობინარი იქნება, ბილინსკის მიერ შემუშავებული საერთო კანონი ენათა შესახებ შეიწყნარონო, მაგრამ ვერა გააწყვეს-რა. ნემეცებს იმედი აქვთ, რომ წინანდელი მოკავშირენი ეხლა უთუოდ ჩამოშორდებიან ჩეხებს, რომელნიც მთელს თავისს ძალ-ღონეს იკრებენ, რათა პარლამენტის მუშაობა შეუძლებელ და უნაყოფო ჰყონ. „Narodni Listy“ ამტკიცებს, რომ ჩეხები იძულებულ არიან მალა-უნებურად მიჰმართონ ამ უკანასკნელ საშუალებას, მაგრამ როლებს აა ასე განაწილებენ ერთმანეთ შორისო: ერთი ნაწილი დეპუტატებისა უწესოებას მოახდენს ხოლმე პალატაში, მეორენი გრძელ-გრძელ სიტყვებას წარმოთქმას იკისრებენ, ხოლო მესამენი სხვა-და-სხვა ინციდენტებს გამოიგონებენ და ამ დროს ჩეხების ორატორებს შეეძლებათ დასვენებაო.

## ქართული საღამო მოსკოვში.

21 ნოემბერს მოსკოვის საკრებულოს დარბაზში გაუმართავთ ჩვეულებრივი ქართული საღამო მოსკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. საღამოს გამართავა სტუდენტების თხოვნით უკისრნია საიმპერატორო თეატრის არტისტს თავ. ა. ი. სუმბათაშვილს. ამ საღამოს დარბაზი ვერ იყო თურმე ისე მდიდრულად მორთული, როგორც წინა წლებში. ჩვეულებრივ სტუდენტები დარბაზის მორთვა-მოწყობისათვის ბევრს ფულს ჰხარჯავდნენ, წელს-კი ეკანომიის გულისათვის ასე არ მოქცეულან. საღამოს ძალიან ბევრი ხალხი დასწრებია. საღამო მუსიკალურ განყოფილებით დაწყობილა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია საიმპერატორო თეატრის დირიჟორად ნამყოფის თ. თ. ბოგუსლავის ხოროს. ხოროს რამდენიმე კავკასიური სიმღერა შეუსრულებია. შემდეგ რამდენიმე რომანსი უმღერია ქ-ნ ა. ი. კნიპპერს. მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე კონსერვატორიის პროფესორს იგუმნოვს, პროფესორს შტადლერს და არტისტს რ. თ. ფედოროვს. კონცერტის შემდეგ ლეკური ყოფილა, ბოლოს ევროპიული ცეკვა. საღამო დილის სამ საათზედ დასრულებულა. შემოსავალი დიდი ჰქონია საღამოს.

## დამავერდი

დიდაკაცი ყველაზედ უდიდესი ფასწამოსაკრავი ქვაა მამაკაცის მოღვაწეობის სარბიელზედ.

ლ. ტოლსტოი

* * *

მსმენია მკვლეთაგან: გველის სიჭრელეს გველამუა კაცის სიჭრელე აღემატებისო.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ამ დღეებში დაიბეჭდა მეტად საინტერესო წიგნი: „შემნახველ-გამსესხებელი კასსები ჩეხიაში“. როგორც ამ წიგნებიდგანა სჩანს, ასეთი კასსები ძალიან გავრცელებული ყოფილა ჩეხიასა, მორავიასა და სილეზიაში. 1899 წლის პირველ იანვრისათვის სულ 1057 კასსა ყოფილა, აქედგან ჩეხიაში—639, მორავიაში—389, სილეზიაში—22 და ვენაში (ჩეხელებისათვის)—7. ხსენებულ წელს კასსებს 6,000 ახალი წევრი მოჰმატებია, სულ-კი 331,139 წევრი ჰყოლია. 1898 წლის პირველ იანვრამდე კასსებში შეუტანიათ სულ 268,400,590 ჰულდენი; 1899 წელს-კი 113,173,000 ჰულდენი შეუტანიათ და 108,900,000 გაუტანიათ. ორთა შუა რიცხვით თითო წევრზედ 500 ჰულდენი მოდის. სესხად გაუციათ 224,600,000 ჰულდენი.

* * *

რუსული გაზეთები შემდეგს ამბავს იუწყებიან პალტავის გუბერნიის ერთ მემამულის ნ.—ს შესახებ, რომელიც ეხლა ხარკოვში სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში წევს. ეს მემამულე ნაფიც მსაჯულის თანამდებობას ასრულებდა. ამას წინად იმ სასამართლოში, სადაც ის იყო მსაჯულად, ერთი ახლართულ-დახლართული საქმე გაირჩა. განაჩენის დადგენის დროს მსაჯულნი ორად გაიყვნენ. მემამულეს ნ—ს თავისი აზრი არ გამოეთქვა ჯერ, ამიტომ იმაზედ იყო დამოკიდებული გაამართლებდნენ თუ გაამტყუნებდნენ ბრალდებულს. ბოლოს ნ—მა ბრალდებულის წინააღმდეგ წარადგინა ხმა და ამ უკანასკნელს კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტეს. ამ დღიდგან ნ—ი დიდ ფიქრსა და საგონებელში ჩავარდა; გახდა, წელში მოიკაკვა, მუდამ თავისს კაბინეტში იჯდა და გარედ თითქმის სულ აღარ გამოდიოდა. ერთხელ ვახშმის დროს, ნ—მა ერთ წერტილს მიაჭყიტა თვალები და ძალზედ აღელვებულის ხმით წამოიძახა: „აგერ, ის არის... კუთხეში სდგას... ბორკილებ გაყრილი... თავ-გაპარსული... მუშტს მიქნევს, მემუქრება... მე... მე დავღუპე ის...“ ნ—ი ჭკუისაგან შესცდა და ამ დღიდგან სულ იმას გაიძახოდა: „არა, დამნაშავე არ იყო... მე დავღუპე, მეო“.

* * *

სასაცილო საქმე დამართნია ამას წინად ავსტრიის ანტისემიტთა გაზეთის—„Wiener Volbote-ს რედაქტორს. ვენაში წარმოუდგენიათ შექსპირის შესანიშნავი პიესა „ვენეციელი ვაჭარი.“ რედაქტორს არა სცოდნია თურმე, რომ ეს პიესა შექსპირისა ყოფილა და თავისს გაზეთში გამოუცხადებია, რომ ეს მშვენიერი პიესა, რომელშიაც ეგრე საუცხოვოდ არის გატარებული ანტისემიტური ტენდენცია, გრილლპარცერს ეკუთვნისო. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სხვა გაზეთებმა სასაცილოდ აიგდეს უვიცი რედაქტორი, მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. „ვენის მუშათა გაზეთის“ სიტყვით, ერთს მუშას შემდეგი სამასხარო წერილი გაუგზავნია ანტისემიტთა გაზეთის რედაქტორისათვის.

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბ-ნო რედაქტორო!

დიდად მადლობელი ვიქნები, თუ შეასწორებთ თქვენ გაზეთში შეპარულ შეცდომას. პიესა „ვენეციელი ვაჭარი“ ჩემი დაწერილია და არა გრილლპარცერისა, როგორც ამას წინად აცხადებდით. ამ მწერლისთანა ყბედს ლიბერალს არ შეუძლიან ისეთი პიესა დასწეროს, როგორიც „ვენეციელი ვაჭარია“.

ვილიამ შექსპირი“.

ამ წერილის მიღების შემდეგ ბ-ნ კენიგს რედაქტორს ანტისემიტთა გაზეთისას, გამოუცხადებია, რომ დიდი შეცდომა მომივიდა, როდესაც ისეთი პიესა, როგორც „ვენეციელი ვაჭარია“, გრილლპარცერს მივაწერთ. ბ-ნი შექსპირი ჭეშმარიტსა ბრძანებს თავისს წერილში, რომ გრილლპარცერს ასეთის პიესების დაწერა არ შეუძლიან. ბოდიშს ვიხდით ბ-ნ შექსპირის წინაშე, რომ ასეთი შეცდომა მოგვივიდა.“ აი ასეთი წინამძღოლი ჰყოლია ავსტრიაში ანტისემიტთა დასს.

---

## გამოსადეგი ცნობა

გაყინულ და გათოშილ ხელისა და ფეხის თითების მოსარჩენად მალიან კარგია, რომ ხახვი დაინაყოს და წაუსვას იმ ადგილებზედ, რომელიცა სტკივა. ახადმყოფს ტკივილი ჩქარა დაუყუჩდება და რამდენისამე დღის შემდეგ სიმსივნე და სიწითლეც დაეკარგება.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 დეკემბერი

**ლონდონი.** გენერალი გატეკარი დეპეშით იუწყება, რომ სტომბერგზედ თავს დასხმა გამარჯვებით უნდა გათავებულიყო, მაგრამ მანძილი დაჭეშმარიტებით არ იყო განსაზღვრული, რადგანაც ჯარი სხვა გზით წაიყვანესო. ჯარს შორს მოვლა მოუხდა. ირლანდიელთა რაზმი მამაცად იბრძოდა. ინგლისელთ ერთი ზარბაზანი დაჰკარგეს, მეორე ქვიშაში ჩაიფლა. გატეკარი უმატებს, რომ ბუშმანბეკი და სიპარგეტი მიჭირავსო. ნორტუმბერლანდის რაზმმა იმის აზრით სულ 366 კაცი დაჰკარგა.

**ლორენცო-მარკეზე.** როგორც პრეტორიიდგან იუწყებიან, 27 ნოემბერს კიმბერლეიდგან ჯარი გამოვიდა. ჯარს აზრადა ჰქონდა კამპერდაუნთან ბურების პოზიციები და წყლის მილი აელო. დაწვრილებით ამბებს ამ ომის შესახებ შემდეგ მოელოდებიან.

**ფრერი.** ინგლისის კავალერიას დღეს შეტაკება ჰქონდა ბურების რაზმთან, რომელიც რამდენისამე ასის კაცისაგან შესდგებოდა. ბურები მდინარის მეორე ნაპირზედ გადავიდნენ. იმათ გორაკებზედ მაგარი პოზიციები უჭირავთ.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ ბულლერისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გენერალ უაიტისაგან მივიღე დეპეშა, 11 დეკემბერს გამოგზავნილი, რომელიც იუწყება, რომ წარსულ ღამეს მეტკელერი 1500 კაცით ქალაქიდგან გამოვიდა, რათა სიურარიზგოლში დაეჭირა. გორაკამდე რაზმი შეუმჩნევლად მივიდა, აქიდგან განდევნეს მოწინააღმდეგე და გაანადგურეს იმათი ზარბაზანი. უკან დაბრუნებისას ბურები წინ გადაეღობნენ. ბურებმა ძრიელ იზარალეს. ინგლისის მხრივ მოკლულ იქმნა ერთი აფიცერი და 10 ჯარის-კაცი, დაიჭრა 3 აფიცერი და 40 ჯარის-კაცი, ტყვედ წაიყვანეს ბურებმა 6 კაცი. საინჟენერო ჯარიდგან მოკლულ იქმნა ერთი კაცი და ერთიც დაჭრილ“.

1 დეკემბერი

**ფრერი,** 12 დეკემბერი. ინგლისის ბრიგადამ, რომელიც შესდგება ინგლისისა, შოტლანდიისა, ირლანდიისა და ვალისის ფუზილიორებისაგან, რამდენიმე ზღვის ზარბაზნით წინ წაიწია და მაგარი ადგილი დაიჭირა კოლენზოდგან სამი მილის სიშორეზედ; მტერს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

**პარიჟი.** ოფიციალურ სტატისტიკური ცნობებით, რომელიც გამოცხადებულია სადამოჟნო დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში შემოტანილია 3.839.066,000 ფრანკის საქონელი, წარსულ წელში იყო 4.071.157,000 ფრანკის; გატანილია 3.549.401,000 ფრანკის, წარსულ წელში იყო 3.116.708,000 ფრ.

**პრეტორია.** ოფიციალურის ცნობებით, გუშინ, ნაშუადღევს, მდინარე მოდდერთან ბრძოლა ასტყდა, რომელმაც საღამოს $9^1/_2$ საათამდის გასტანა. დღეს ბრძოლა განახლდა. დეპეშის გამოგზავნის დროს ბრძოლა ისევ იყო. ბურები იცავდნენ ყველა თავიანთ პოზიციებს და ტყვედ წაიყვანეს 41 ინგლისელი. შემდეგი დეპეშა მდინარე მოდდერიდგან, 11 დეკემბერს გამოგზავნილი, იუწყება, რომ არტილერიის სროლა მატულობსო. ბრძოლა არ შეწყვეტილაო.

**ლონდონი,** 13 დეკემბერი. საღამოს გაზეთებში შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი, მდინარე მოდდერის ბანაკიდგან გამოგზავნილი სამშაბათს, დილით: „შაბათს, ღამით, მეტუენმა უბრძანა არტილერიას წასულიყო ბურების მიერ ძლიერ გამაგრებულ პოზიციის ასაღებად მოლერეფონტენის ჩრდილოეთ მხარეს. კვირას, დილით, ინგლისის არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ბურების ბანაკს. ბრძოლამ მთელი დღე გასტანა. ორშაბათს ბრძოლა განახლდა და ინგლისელების ჯარი იერიშით მივიდა პოზიციაზედ. თუმცა ინგლისელების არტილერიას სროლა არ შეუწყვეტნია, მაგრამ ბურები ვერ განდევნეს პოზიციიდგან. ინგლისის ქვეითა ჯარს სასკვდილო თოფის ტყვიებით მიეგებნენ. ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. განსაკუთრებით დაზარალდა გეიტლენდიორების ბრიგადა.

**ლორენცო-მარკეზე.** 12 დეკემბერი. გერმანიის სანიტარული რაზმი სრულის სახელდახელო ლაზარეთით პრეტორიიდგან ბლუმფონტეინში წავიდა.

2 დეკემბერი

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ ბრძანება გასცა—შეადგინონ სამი ახალი ბატარეა.

ბრიტანიის ბანაკიდგან, რომელიც მდინარე მოდდერის ჩრდილოთ მხარეს იმყოფება, ორშაბათს, საღამოს, აცნობეს „რეიტერის სააგენტოს“, რომ შოტლანდიის ბრიგადა 200 მეტრის მანძილზედ მიუახლოვდა ბურების ბანაკს, რადგან ეჭვიც არ ჰქონია, რომ მტერი ასე ახლოს იყო. ბურებმა ორსავე მხრიდგან სროლა ასტეხეს და გეიტლენდიორები ისე დააზიანეს, რომ იმათ პირი უკვე იქციეს, მაგრამ ჩაღრმავებულ ალაგას ისევ თავი მოიყარეს და იქ მამაცურად გამაგრდნენო. გამაგრებულები გორდონის პოლკით, ისინი ისევ წინ წავიდნენ გაბედულათ; მათ ეხმარებოდა გემის ზარბაზნები, რომლებმაც გაარღვია ბურების სიმაგრეები და იმათი ზარბაზნები იძულებულ ჰყო გაჩერებულიყვნენო. ბურებმა მოინდომეს ინგლისელებისათვის მოევლოთ ცარიელ მიდვრების მხრივ, მაგრამ არტილერიამ და გვარდიამ ნება არ მისცა მათ. საღამოს ბურებმა ისევ ასტეხეს ზარბაზნების სროლა, მაგრამ ვერა დაგვაკლეს-რაო. ჩვენი ჯარები თავიანთ პოზიციებზე დგანან. ხვალ მოელიან ბრძოლის განახლებას. ორთავე მხარეს დიდი ზარალი მიეცათ.

**რომი.** ბალოტა. გარეშე საქმეთა ბიუჯეტის განხილვის დროს, ბარშლაიმ და მისმა ამხანაგებმა უმწვარეს მემარცხენეთა სახელით წინადადება მისცეს პალატას,—განვჰკიცხოთ მთავრობა ჩინეთის შესახებ ორპირულის პოლიტიკისათვისო, მინისტრ-პრეზიდენტმა უარ ჰყო ეს წინადადება და ნდობის გამოცხადების შესახებ ხმის ჩამოტარება მოითხოვა. ბარშლაის წინადადება უარ ყოფილ იქმნა 163 ხმით 54 ს წინააღმდეგ.

**ადესა.** აქ მოსული რაზმი „წითელის ჯვრისა“, რომელიც ტრანსვაალში აპირებს წასვლას, რუსეთის საზოგადოების გემით გავა პარასკევს პორტ-საიდში,

**ლონდონი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ ორშაბათს გენერალი ვოჩოპი მოკლულ იქმნა ბრძოლაში მდინარე მოდდერთანო. 293 დაჭრილი კაცი, რომელთა შორის 27 აფიცერია, მდინარე მოდდერიდგან ორანჟ-რივერში მოიყვანესო. გატეკრი ბუშმანშოკიდგან სტერკსტრომისაკენ აპირებს უკან დახევასო.

**ლონდონი.** ოფიციალურად იუწყებიან: „უაიტი იტყობინება ლედისმიტიდგან 12 დეკემბერს, რომ 32 კაცი სოფლით გახდა ავად და 3 კაცი მუცელათიო“.

**ვენა.** მლადოჩეხებმა გარდასწყვიტეს,—დაუყოვნებლივ დაიწყონ ობსტრუქცია. გავრცელებული ხმები კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომის შესახებ ჯერ არ მტკიცდება.

---

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო 1899 წლის გიორგობისთვის განმავლობაში.

1) საწევრო ფული.

ა) დამფუძნებელის წევრის
დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილისაგან 20 მ.

ბ) ნამდვილის წევრების
1) დავით ბერისაგან 6 მ.
2) დეკ. ესტატე ელიევისაგან 6 მ.
3) დავით გიორგის ძის კარიჭაშვილისაგან (ნაწილი) 3 მ.
4) გიორგი ნიკოლოზის ძის სხირტლაძისაგან 6 მ.
5) გრიგოლ ზაქარიას ძის ქურდიანისაგან 6 მ.

სულ 47 მან.

2) შემოწირულობა ძველ ფულებად და წიგნებად.

1) ალავერდის ეპისკოპოსის კირიონისაგან—სამი ოქროს ფული, თორმეტი ძველი სპილენძის ფული, თოთხმეტი სხვა-და სხვა ზომის ვერცხლის ფული და ერთი ძველი ციხის თოფი.
2) რაჟდენ ბარამიძისაგან—ოთხი სპილენძის ფული.
3) კნ. ქეთევან გიორგის ასულის ჩოლოყაშვილისაგან—ერთი ფაიფურის თეფში, ერთი ტყავის მათარა და ტყავის ყუთი ვერცხლის საკეტით, ნაქონი მარიამ ირაკლის ძისა.
4) დიმიტრი ხოშტარიასაგან—ორი ძველი სპილენძის ფული.

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა,** ბ-ნ გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით ხორცზედ შტემპელის დაკვრის შესახებ, აცნობებს ტფილისის ვაჭრებს, რომ სხვა ქალაქებიდგან მიღებული ლორები, მიღებისათანავე უნდა წარმოდგენილ იქმნას საყასბოსა ან ქალაქის ლაბარატორიაში გამოსაკვლევად იმისა, ტრიხინიანია თუ არა, და მე-2 §-ით დადგენილ შტემპელების დასაკრავად, იმის მიუხედავად, ლორებს აქვს თუ არა სხვა რომელისამე ქალაქის ნიშნები. (3—6.—2)


პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—48)



# „ივერია“

1900 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 | | 5 „ | 5 „ 50 |
| 10 „ | 8 „ 75 | | 4 „ | 4 „ 75 |
| 9 „ | 8 „ — | | 3 „ | 3 „ 55 |
| 8 „ | 7 „ 25 | | 2 „ | 2 „ 75 |
| 7 „ | 6 „ 50 | | 1 „ | 1 „ 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაზეთი გაეგზავნება პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ., ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ მოწერას დაუბეჭდელ ხელ ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა უქმეებს გარდა, ნაშუადღევის პირველ საათიდგან სამ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 21.


Дозволено цензурою, Тифлисъ 2 Декабря 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე